ხელშეკრულება №1062/06

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

ქ. თბილისი **19 დეკემბერი 2016 წელი**

ერთის მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას სახით (შემდგომში „შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქეთევან ლაკირბაიას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ`` საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში (თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა) ნაბეჭდი წიგნების შესყიდვა. (ნაბეჭდი წიგნები, ბროშურები და საინფორმაციო ფურცლები CPV22100000)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის მოცულობა და ღირებულება:

№	ავტორი	სათაური	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
1	ჰელმუტ შნაიდერი +	ძენ ბუდიზმის ესთეტიკა	1	4.70	4.70
2	ბერნჰარდ ვალდენფელსი	გზები ფენომენოლოგიისა პასუხს რომ იძლევა	1	13.00	13.00
3	თენგიზ ირემაძე	ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე	1	9.90	9.90
4	თომას პეინი	საღი აზრი	1	7.15	7.15
5	უდო რაინჰოლდ იეკი	განაზრებანი ქართული ფილოსოფიის შესახებ	1	6.50	6.50
6		შატილი ფილოსოფიური გეოგრაფიის პერსპექტივიდან	1	9.10	9.10
7		ამერიკელ განმანათლებელთა პოლიტიკური ესეები	1	10.00	10.00
8		ახალი იმპერიალიზმი და კავკასია	1	13.00	13.00
9	ჰანა არენდტი	რა არის ხელისუფლება	1	13.00	13.00
10	ფრიდრიხ ნიცშეს	ფილოსოფია და მისი გაგების პერსპექტივები	1	9.50	9.50
11	პითაგორა	პითაგორა	1	7.00	7.00
12	გიორგი ხუროშვილი	იერუსალიმი და ათენი	1	6.00	6.00
13		თავისუფლება და კულტურა	1	17.00	17.00
14	ფრენსის ბეკონი	ახალი ატლანტიდა	1	6.50	6.50
15		ფილოსოფია და თეოლოგია შუა საუკუნეების საქართველოში	1	19.20	19.20
16		ახალი დროსი ქართული ფილოსოფია და მისი მთავარი წარმომადგენლები	1	19.20	19.20
17		თავისუფლების იდეა ფილოსოფიაში თეოლოგიასა და სოციალურ მეცნიერებებში	1	19.20	19.20
18	გიორგი თავაძე	ფილოსოფიური გეოგრაფია	1	20.40	20.40
19	რეზო კვესელავა	მოგონებები ქართველ კინომატოგრაფისტებზე	1	7.80	7.80
20	ადორნო	განმანათლებლობის დიალექტიკა	1	12.00	12.00

21	დევი დუმბაძე	იდეოლოგია და არარეგლამენტირებული გამოცდილება	1	6.00	6.00
22	გერმანე გოგიტიძე	ქართული კინოს წარსულიდან	1	7.80	7.80
23	ფირუზ ქაზემზადე +	ბრძოლა ამიერკავკასიითვის 1917-1921 წლები	1	17.00	17.00
24		ჩვენი ღირსებანი 5 ტომი	1	19.00	19.00
25		ჩვენი ღირსებანი 6 ტომი	1	19.00	19.00
26		ჩვენი ღირსებანი 8 ტომი	1	19.00	19.00
27		ოჯახური გარემო	1	29.00	29.00
28		საქართველოს თევზები	1	13.00	13.00
29	მარინე კაკიაშვილი	სოციალური ფსიქოლოგია	1	10.00	10.00
30		მენეჯმენტის ფსიქოლოგია	1	24.00	24.00
31		სამოსამართლო ეთიკა	1	15.00	15.00
32		ესთეტიკა	1	24.00	24.00
33	თეიმურაზ თურმანიძე	ფინანსური ანალიზი	1	18.00	18.00
34		მართვის სოციოლოგია	1	24.00	24.00
35		იურიდიული ფსიქოლოგია ექსპერიმენტიდან პრაქტიკამდე	1	13.00	13.00
36		მარკეტინგის ფსიქოლოგია	1	10.00	10.00
37		ეთიკა	1	30.00	30.00
38		იურიდიული ფსიქოლოგია მეორე გამოცემა	1	24.00	24.00
39		სახელმწიფოსა და სამართლის თეორია	1	24.00	24.00
40		წინასწარი გამოძიების ფსიქოლოგიური თავისებურებანი	1	24.00	24.00
41		კრიმინოლოგია მეოთხე გამოცემა	1	18.00	18.00
42		საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	1	16.90	16.90
43		მაკროეკონომიკური ანალიზის ანთოლოგია	1	11.70	11.70
44	რ კაკულია	საერთაშორისო სავალუტო საფინანსო და საკრედიტოურთიერთობები	1	16.90	16.90
45	რ კაკულია გ ღვათაძე	ეკონომიკური და ფინანსური რისკების მართვა	1	26.00	26.00
46	ა ჯიბუტი რ კაკულია	საჯარო ფინანსები	1	26.00	26.00
47	რ კაკულია	საბანკო საქმე	1	28.60	28.60
48	დ რიკარდო	პოლიტიკური ეკონომიკის დაბეგვრის საფუძვლები	1	8.00	8.00
49	არჩილ სამადაშვილი	სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი	1	19.50	19.50
50	მაია მელაძე	ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი	1	10.00	10.00
51		ანტიკრიზისული მენეჯმენტი	1	20.80	20.80
52		პროექტების მენეჯმენტი	1	23.40	23.40
53	ქეშელაშვილი ხარხელი	მენეჯმენტის საფუძვლები	1	25.00	25.00
54		წიგნი ტურიზმის საფუძვლები პრაქტიკა და თეორია	1	50.00	50.00

55		საერთაშორისო ტურიზმის ბიზნესი	1	19.50	19.50
56	დემური ჩომახიძე	ეკონომიკური ლექსიკონი ენერგეტიკაში	1	6.00	6.00
57		ბუნებრივი მონოპოლიები და მათი რეგულირება	1	6.00	6.00
58	დემურ ჩომახიძე	საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგია	1	13.00	13.00
59		საქართველოს ენერტგეტიკა ეკონომიკა რეგულირება ტერმინოლოგია სტატისტიკა	1	13.00	13.00
60		საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი	1	13.00	13.00
61		ენერგეტიკის რეგულირების საფუძვლები	1	15.00	15.00
62	გიორგი ჯავახიშვილი	ადრეული შუა საუკუნეების ქართული მცირე ქანდაკება	1	15.00	15.00
63	ჯეიმს მეიერი	მინიმალიზმი	1	10.00	10.00
64	მელქაძე	საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი	1	13.00	13.00
65		საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი კრებული 1	1	20.80	20.80
66		საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი კრებული 2	1	15.60	15.60
67		მუნიციპალური სამართალი	1	16.90	16.90
68		კონსტიტუციონალიზმი	1	27.30	27.30
69		ქართული კონსტიტუციონალიზმი წიგნი 1	1	26.00	26.00
70		ქართული კონსტიტუციონალიზმი წიგნი 2	1	26.00	26.00
71		საპარლამენტო სამართალი მსოფლიო პრაქტიკაში და ქართულ რეალობაში	1	20.80	20.80
72		საარჩევნო სამართალი მსოფლიო პრაქტიკაში და ქართულ მოდიფიკაციაში	1	23.40	23.40
73		გერმანიის კონსტიტუციური სამართალი	1	3.90	3.90
74		სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში	1	6.50	6.50
75		პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაცია საპარლამენტო სისტემის ქვეყნებში	1	3.90	3.90
76		სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხები კონსტიტუციონალიზმში	1	3.90	3.90
77		მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები ცნობარი ნაწილი 1	1	6.50	6.50
78		ქართული კონსტიტუციონალიზმის შავი ყუთი	1	3.90	3.90

79		ქართული მუნიციპალიზმი	1	23.40	23.40
80		ქართული მუნიციპალიზმი ახალ პროექციაში	1	13.00	13.00

2.2. შესყიდვის ობიექტის სრული ღირებულებაა **1266.05 (ერთიათასორასსამოცდაექვსი ლარი და 05 თეთრი) ლარი.**

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

3.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული ან მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

3.3. ყველა გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

4.2. შესყიდვის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში (მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე).

4.3. ანგარიშსწორება იწარმოებს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტისა (მიღება - ჩაბარების აქტის ფორმა თან ერთვის) და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის, ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ დადებითი დასკვნის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების და ინსპექტირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1. მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალექსიძის №1

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 07 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

7.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.

8. ხელშეკრულების პირობების შესრულება

8.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ეკისრება საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0.1 % ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ვალდებულების შესრულებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3. თუ შემსყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მიმწოდებელს უფლება აქვს გამოიყენოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ზომა და დააკისროს მას საურავი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისთვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში, ამ გარემოებათა არსებობის განმავლობაში.

9.2. დაუძლეველი ძალა გულისხმობს: ომსა და საბრძოლო მოქმედებებს, სტიქიურ უბედურებებს, ხანძარს, გაფიცვებს, სამოქალაქო არეულობას, საკანონმდებლო ცვლილებებს.

9.3. დაუძლეველი ძალის მოვლენის დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება,

დაუყოვნებლივ წერილობით მიმართავს მეორე მხარეს ამის შესახებ, თუ დაუძლეველი ძალის მოვლენა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებმა შეიძლება შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

9.4. მხარე არ თავისუფლდება პირობებისაგან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ძალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათაა დადგომამდეც განსაზღვრულ ვადებში.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი იღებენ ურთიერთვალდებულებას ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

10.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი შესრულება.

ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

გ) მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე;

დ) შეწყვიტოს ხელშეკრულება შესყიდვის ობიექტის ხარისხის და/ან პირობების გაუარესების გამო.

10.3. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროული გადახდა მიწოდების შემდეგ 15 დღის ვადაში.

10.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში,
ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განუხრელი დაცვა.

10.5. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:
ა) შესყიდვის ობიექტის განსაზღვრულ ადგილზე მიწოდება;
ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვა.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.2. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

12. ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით სათანადო ვალდებულის რეგისტრაციის შემდეგ და მოქმედებს ხელმომწერ მხარეთაა მიერ ნაკისრი ვალდებულებების ამოწურვამდე 2017 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულებიდან, უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

13.2. თუ მხარეები 10 კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მოილაპარაკებენ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესს.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით.

14.2. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

14.3. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

14.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მიმოწერა სრულდება ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ წერილობითი ფორმით და ორმხრივი ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

14.6. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან, ერთი ,,მიმწოდებელთან,'' ორი - ,,შემსყიდველთან.''

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

_____

სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი:
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №1
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ბიუჯეტი
თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

საიდენტიფიკაციო კოდი:
204864548

მიმწოდებელი

_____

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი:
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №32
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა

ა/ა №GE24NB0330100200165022
ბანკის კოდი: TRESGE22
საიდენტიფიკაციო კოდი:
204861970

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

_____

/ნ. ოვსიანიკოვა/

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

_____

/ ქ.ლაკერბაია/

თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი: /ი. სალარეიშვილი/

თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი: /ა.კუკულავა/

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

19.12.2016წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ იგი არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	ნ. ოვსიანიკოვა
თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი	ი. საღარეიშვილი
თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი	ა. კუკულავა
თსუ შესყიდვების განყოფილების უფროსი	ს. სანაძე
თსუ შესყივების განყოფილების მთავარი სპეციალისტი	მ. ქორჩაშვილი